გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42
2018 წლის 14 მაისი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა**დგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 16/11/2017; 010250040.35.148.016385) დამტკიცებული რეგლამენტის 137-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს შემადგენლობაში შედის საკრებულოს თავმჯდომარე, ნებაყოფლობით შედიან საკრებულოს წევრები, მერის წარდგინებით მერიის არაუმეტეს 3 საჯარო მოსამსახურე ან/და პოლიტიკური თანამდებობის პირი, მათ შორის: გორის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომელიც იმავდროულად არის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში) ან მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარდგინებით არჩეული წარმომადგენელი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**